ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N25

ქ.ზუგდიდი **11 ოქტომბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **დავით შელია**-შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის დირექტორი; **.....**-შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის დირექტორი; **.....-**შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის სახელმწიფო შესყიდვების კოორდიანტორი; **.....**-შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის სახელმწიფო შესყიდვების კოორდიანტორი; **.....-**პიარი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 9 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის მიერ კომისიაზე წარმოდგენილ იქნეს მე-3 კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დავით შელია-შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მოგესალმებით მეგობრებო, დღეს ჩვენთან იმყოფება ანაკლია-განმუხურის რესორტის ხელმძღვანელი დავით შელია. წინა მოსმენებზე ის ახალი

დანიშნული იყო და გვესაუბრა მხოლოდ განხორციელებულ პროექტებზე, ახლა კი გვაინტერესებს სამომავლო გეგმები და ბიუჯეტის კუთხით ცვლილების შესახებ ინფორმაცია, ასევე ამ ექვსი თვის განმავლობაში განხორციელებული პროექტები.“

აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განმარტა: „მოგესალმებით მეგობრებო, ხუთი თვეა რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე და შევეცდები გაგაცნოთ ამ პერიოდში განხორციელებული პროექტები. პირველი არის ანაკლია-განმუხურის ზოლის კანალიზაციის დაერთება, ეს არის სტადიონის და ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიის საპირფარეშოს დაერთება საკანალიზაციო ქსელთან. მეორე პროექტი, რაც განხორციელდა ეს არის რაციების შეძენა ბულვარში მომუშავე თანამშრომლებისთვის, რათა ქონდეს ერთმანეთთან კომუნიკაცია. ეს არის მოტოროლას ფირმის რაციები ორ წლიანი გარანტიით, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 3960 (სამიათასცხრაასსამოცილარი) ლარს. მიმდინარეობს ანაკლიაში შტორმის შედეგად დაზიანებული ქვიშის სტადიონის მოედნის კედელის აღდგენითი სამუშაოები და უახლოეს მომავალში ეს პრობლემა მოგვარდება. ძველ პროექტში არ იყო კოლონები, ჩვენ კოლონებზე დავსვით და კონსტრუქციულად იქნება უფრო მყარი. ანაკლიაში ვაპირებთ ძველი დაცვის ჯიხურის რეაბილიტაციას, ფანჯრები ჩავანაცვლეთ მინა-პაკეტით. შევიძინეთ კერხერის აპარატი, რომელიც მუშაობს ბენზინზე, რადგან ყველგან არ არის დენის წყარო და ამდენად უფრო მოსახერხებელია მისი გამოყენება.“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „მოგახსენებთ ხე-მცენარეებთან დაკავშირებით, იქ სადაც წიწვოვანი მცენარეები იყო გაშენებული შეეყარა დაავადება, რომელმაც გამოიწვია მცენარეთა გახმობა. ჩვენ გეგმიურად ვახორციელებდით კომპლექსურ შეწამვლას. შპს „ბიო-აგრო“ გვაწვდის დასკვნებს და მათი რეკომენდაციებით ვხელმძღვანელობთ. მიუხედავად შეწამვლისა, საჭირო გახდა ამ მცენარეების უხეში გასხვლა, რადგან ჰაერის ცირკულაცია უფრო აქტიური ყოფილიყო. ამის შემდეგ 2-ჯერ მოხდა შეწამვლა, ისევ ანალიზების აღება „ბიო-აგროს“ მიერ და ველოდებით დაახლოებით ორ კვირაში პასუხებს.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ განაცხადა: „რა უწყება არის “ბიო-აგრო” და ვინ არის ხელმძღვანელი?“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „ტენდერის ჩატარების შედეგად გამოვლინდა შპს „ბიო-აგრო“, სადაც გაერთიანებული არიან სერთიფიცირებული სპეციალისტები, ხელმძღვანელი კიკორია, შპს დასკვნას გვიდებენ წელიწადში ორჯერ და ვასრულებთ მათ რეკომენდაციებს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „განმუხურის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მდგომარეობა როგორ არის შეფასებული? ვინ შეკრიჭა ჭანჭყატი წელიწადის ამ დროს? წესით და რიგით ეს უნდა მოხდეს აგვისტოში. მაინტერესებს ასევე ბუნგალოების საკითხი, რატომ არ მოხდა მათი დემონტაჟი?“

აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განაცხადა: „ბუნგალოების საკითხზე ვმუშაობთ ამ საკითხზე და უახლოეს მომავალში მოხდება რეაგირება.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: თუ „ბიო-აგრო” წელიწადში ორჯერ დებს დასკვნას, რატომ მოხდა ხე-მცენარეების დასნებოვნება?“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდა ამ ხე-მცენარეების დაავადება და თითქმის ყველგან მსგავსი მდგომარეობაა. კვალიფიციური სპეციალისტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია სრულდება ზედმიწევნით და მხოლოდ ერთი ძირი არის მოჭრილი, დანარჩენი ყველა შენარჩუნებულია.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „რამდენი გაქვთ დაფინანსება ხე-მცენარეთა მოვლა-პატრონობისათვის?“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „ხე-მცენარეთა მოვლისთვის გამოყოფილია 4 500 (ოთხიათასხუთასილარი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „მადლობა მინდა მოგახსენოთ, თუ ამ თანხით მოახერხეთ ამ მასშტაბის სამუშაოები.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „გყავთ თუ არა მემცენარე შტატში? განმუხურის ტერიტორიაზე მსგავსი მდგომარეობა არ გვახსოვს.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ამ მცენარეებს დაახლოებით წელიწადში 10-ჯერ სჭირდება შეწამვლა.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ეს პრობლემა არ არის მარტო განმუხურში. მცენარეების ეს დაავადება შემოვიდა სოჭის ოლიმპიადის დროს, როდესაც რემონტი მიმდინარეობდა და მცენარეები შემოიტანეს მაშინ შემოყვა და წიწვოვანებს დაემართა მარტო. პატრიოტთა ბანაკის მიმდებარედ არსებული წიწვოვანი ხეები მთლიანად გახმა და არა მარტო ზუგდიდში, ასევე ბათუმშიც და თბილისში. დანარჩენი სხვა ყველაფერი ნორმალურად არის განმუხურში. ეს პრობლემა ნამდვილად ობიექტური რეალობიდან გამომდინარეა და არ არის მარტო სოკო. ბევრჯერ მივმართეთ შესაბამის ორგანოებს და ხე-ტყის სააგენტომ მოგვცა თანხმობა მათი მოჭრის.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხდა: „კითხვა მაქვს ბატონ კონსტანტინესთან, თქვენ ახლახან მოიარეთ ევროპა სადმე თუ გინახავთ ხეები ასეთ მდგომარეობაში. განმუხურის შესასვლელში ხეები არის გამხმარი. თუ საჭიროება არის, უნდა მოხდეს ბიუჯეტის გაზრდა მცენარეთა მოვლისათვის.“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „ჩვენ შპს-სთან მომსახურეობა არის გაფორმებული 4 500(ოთხიათასხუთასილარი) ლარზე, თორემ ერთ შესყიდვაზე ჩვენ დაახლოებით 7 680(შვიდიათასექვსასოთხმოცილარი) ლარის სასუქი, მინერალები და წამალს ვყიდულობთ. ჩვენთვის მოწოდებული რეკომენდაციები, რაც გეგმიურად იყო ჩასატარებელი, დროულად იქნა შესრულებული.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „სულ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ ხე-მცენარეების მოვლისთვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი და საჭიროა მეტი თანხა. როდესაც ახლი ბიუჯეტის დაგეგმა მოხდება, მაშინ გაითვალისწინეთ ხე-მცენარეების მოვლისთვის საჭირო თანხების გაორმაგება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ანაკლია-განმუხურის რეაბილიტაციისთვის ერთჯერადად 10 000 000 (ათიმილიონილარი) ლარი მოთხოვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა და დამატებით ყოველ წელს 1 000 000 (ერთიმილიონილარი) ლარი. ამაზე პასუხს ელოდება მუნიციპალიტეტი.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განაცხადა: „თქვენმა წინამორბედმა ხელმძღვანელობამ გაგვაცნო დაახლოებით 15-მდე პროექტი, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?“

აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განამარტა: „ამ ეტაპზე ანაკლია-განმუხურის ბულვარი ნაწილობრივ დაიფარება კამერებით და ზედამხედველობის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ნაგებობაში დამონტაჟდება მონიტორი, რათა მოხდეს მუდმივი მონიტორინგი ბულვარის ტერიტორიაზე. მომდევნო კვირას ვაცხადებთ ტენდერს კამერების შესყიდვაზე. ჩვენ, ასევე ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე საპირფარეშოსთან ახლოს, შევცვალეთ კარები, რომლებიც სავალალო მდგომარეობაში იყო. თანამშრომლებს შევუძინეთ ლაბადა, ჩექმები. სასტუმრო „ანაკლიის“ წინ იქნება სავარჯიშო ტურნიკი, რომლის ტენდერიც უკვე დასრულებულია და პარასკევს ფორმდება ხელშეკრულება. ანალოგიურის მოწყობა იგეგმება მომდევნო წელს განმუხურის ტერიტორიაზეც.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „წინა ხელმძღვანელობას ამწე კალათა უნდა შეეძინა, თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?“

აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განმარტა: „ამ ეტაპზე არ ვაპირებთ ამწე კალათის შეძენას, რადგანაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, გაცილებით იაფი დაგვიჯდება ქირაობა.

წელიწადში მაქსიმუმ 9 000 (ცხრაათასილარი) ლარი. ადგილზე გვაქვს ე.წ. „კოჭიალა“, რომლის მეშვეობითაც საკუთარი ძალებით შეგვიძლია ნაწილი ხე-მცენარეების გაკრეჭა.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „რა თქმა უნდა, სასურველია ანაკლია-განმუხურის რესორტს ტექნიკა რომ ყავდეს. წარმოუდგენელია დასუფთავების და კეთილმოწყობის სერვისებიც ქონდეს, მათ აუქციონზე გააქვთ აღნიშნული მომსახურება. შპს-ს ამოცანა არის, რომ ხარჯები არ აღემატებოდეს შესრულებულ სამუშაოს. რესორტს მეტი პოტენციალი აქვს გახდეს მომგებიანი, ვიდრე მუნიციპალურ ტრანსპორტს. ჩემი აზრით სტატუსის საკითხიც გადასახედია შპს უნდა იყოს თუ ააიპ-ი“.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ჩემი აზრით უმჯობესია აუქციონზე გაიტანოთ მისი მოვლა-პატრონობა, გაცილებით ნაკლები ხარჯი ექნება მუნიციპალიტეტს.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „იმისათვის, რომ კერძო ბიზნესი დავაინტერესოთ მას უნდა ქონდეს გარანტიები, რომ კონკრეტული ბიზნესი იქნება რენტაბელური. რაც შეეხება სპეცტექნიკის შეძენას, ამ ეტაპზე პლაჟის ველობილიკების გადარეცხვა უფრო აუცილებელია, ვიდრე კონკრეტული ერთჯერადი სამუშაოს შესასრულებლად ძვირადღირებული ტექნიკის შეძენა. მუნიციპალიტეტს სჭირდება მინიმუმ კიდევ ორი ტრაქტორი, ასევე თვითმცლელები. ჩვენ გადმოგვეცა 8 კუბური მეტრიანი ფორდის მარკის თვითმცლელი. არის ერთი ამწე კალათა, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს კეთილმოწყობის საჭიროებებს. 48 ადმინისტრაციულ ერთეულს ემსახურება ერთი გრეიდერი, მოგეხსენებათ ტექნიკის ექსპლუატაციასაც აქვს თავისი სამუშაო რესურსი. ფაქტობრივად, ზეგანაკვეთურად უწევს ტექნიკას მუშაობა. ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა არის მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღება, ვგულისხმობ სესხს ან ლიზინგს, რომელზეც თანახმა არის „თეგეტა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „ანაკლია-განმუხურის ტერიტორიის მოვლა პატრონობა შენახვა, ბუნგალოები, ამფითეატრი და ა.შ. რამდენ ქულას დაუწერდით იქ არსებულ მდგომარეობას?“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „იმისათვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ უნდა გავითვალისწინოთ გარემო პირობები და არსებული რესურსიც. ნამდვილად ვერ შევაფასებ უმაღლესი ქულით, ვისურვებდი რა თქმა უნდა უკეთესად ყოფილიყო ყველაფერი, მაგრამ ნამდვილად არ ვუდგებით უპასუხისმგებლოდ ამ გამოწვევას, იმ შესაძლებლობების ფარგლებში რაც გაგვაჩნია.“

აზრი გამოთქვეს: დირექტორის მოადგილემ განმარტა: „პირველი დასრულებული პროექტი, როგორც მოგახსენეთ არის კანალიზაციის ქსელის მოწესრიგება. მეორე დასრულებული პროექტი არის შლაგბაუმის დამონტაჟება, ამით დარეგულირდება ბულვარის ტერიტორიაზე შესვლის საკითხი. სამართალდამცავ და სამაშველო სამსახურების თანამშრომლებს აქვთ პულტები, რათა არ შეფერხდეს ბულვარის ტერიტორიაზე მათი გადაადგილება. მიმდინარე პროექტებიდან მოგახსენებთ ეს არის სტადიონის კედლის აშენება, სპორტული მოედანი სასტუმრო ანაკლიის მიმდებარედ, სათვალთვალო კამერების დამონტაჟება, თითო კამერის საფასურია 500(ხუთასილარი) ლარი, მთლიანად დაქსელვა დაჯდება დაახლოებით 130 000(ასოცდაათიათასილარი) ლარი. ჩვენი ააიპ-ის შემოსავალი შეადგენს 135 000(ასოცდათხუთმეტიათასილარი) ლარს.

ბუნგალოები, რომელიც მყარი კონსტრუქციის არის ყველა ჩვენია, სეზონურად გაგვაქვს აუქციონზე. დანარჩენ ბუნგალოებს რაც შეეხება, მათ ტექნიკა გატანილი აქვთ და კონსტრუქციების დაშლას დაიწყებენ 15 ოქტომბრიდან. ბათუმის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ ვგეგმავთ ობიექტების გაქირავებას ბრენდირებულ კომპანიებზე, რადგან ისინი უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმიანობას, აქედან გამომდინარე, უფრო სტაბილური და ეფექტური იქნება მათთან თანამშრომლობა.

სრულდება ელექტროენერგიის გადამრთველი ყუთების მოწესრიგება, წყლის გაყვანილობა ყველა წერტილს ექნება საკუთარი და შეგვეძლება შევთავაზოთ მოწესრიგებული ობიექტები გასაქირავებლად.

ბავშვთა გასართობ ატრაქციონებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ბაზრის კვლევა და ლოკაციების დადგენა, როგორც ანაკლიაში, ასევე განმუხურში. განმუხურში დამონტაჟდება ჯიხური შშმ პირთათვის, სადაც მოეწყობა საშხაპე საპირფარეშო და გასახდელი ერთ სივრცეში. აქ იქნება ასევე 112 თანამშრომელი, რომელიც დაეხმარება მათი საჭიროებისამებრ. ჯიხურთან დამონტაჟდება ბილიკი ზღვის ნაპირამდე, რათა ეტლით გადაადგილება გაუადვილდეთ შშმ პირებს.

ვაპირებთ ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციას, მოხდება საფარის შეცვლა, ჩატეხილი შუშების ჩანაცვლება. აგრეთვე, მოხდება კიბის მიდგმა ანაკლიის მხრიდან, ასევე საპიკნიკე სივრცეების მოწყობა. იგეგმება საჭადრაკე მოედნების გაკეთება ანაკლიაშიც და განმუხურში. ჩვენ მოგვიწევს მომავალში წყლის გადასახადის გადახდა, მხოლოდ სტადიონის მორწყვას 180 ტონა წყალი სჭირდება. სამომავლოდ დასამონტაჟებელია წყლის მრიცხველებიც.

სასტუმრო „ოქროს საწმისი“ არის კერძო საკუთრებაში და მის ირგვლივ ძალიან დიდი ტერიტორია ეკუთვნის მის მფლობელს კომპანია „სანი“-ს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩვენ არ გვაქვს უფლება რაიმე პროექტი განვახორციელოთ. „

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: ჩემი სურვილი არის გაითვალისწინოთ რეკომენდაციები, რაც კომისიის სხდომაზე იქნა გაჟღერებული.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTSI”-ის მიერ კომისიაზე წარმოდგენილ იქნეს მე-3 კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა მიღებულ იქნა ცნობად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია